



ნოემბერი 2018

მნიშვნელოვანი თარიღები

5-6 ნოემბერი

V-XII კლასების მიუზიკლის ვორქშოფზე რეგისტრაცია

7 ნოემბერი

V-XII კლასების მიუზიკლის ვორქშოფი

5-9 ნოემბერი

ბულინგის შესახებ ცნობიერების ამაღლების კვირეული

7 ნოემბერი

14:00 - 15:00 საათი, ეროვნული ნაკრების ფეხბურთელთა ვიზიტი კამპანიის "ძლიერები არ ძალადობენ" ფარგლებში

8 ნოემბერი

16:30 საათი, VII კლასელების საფეხბურთო მატჩი QSI- სკოლის მოსწავლეებთან

9 ნოემბერი

მიუზიკლის ქასთინგი V-XII კლასელებისთვის

ბულინგის შესახებ ცნობიერების ამაღლების კვირეული

5-9 ნოემბერს დაგეგმილია ბულინგთან ბრძოლის კვირეული, რომლის მიზანია მოსწავლეების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა დისკრიმინაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის შესახებ.

დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის უფროსკლასელები გამართავენ ასამბლევას, რომელზეც მონაწილეები იმსჯელებენ ურთიერთპატივისცემის, განსხვავებულისადმი პატივისცემისა და თანამშრომლობის მნიშვნელობაზე.

6 ნოემბერს აკადემიას ეწვევიან საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებიც ჩართულნი არიან სოციალურ კამპანიაში „ძლიერები არ ძალადობენ“. შეხვედრაზე V-XII კლასების მოსწავლეებს საშუალება ექნებათ ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს დაუსვან მათთვის საინტერესო შეკითხვები.

7 ნოემბერს აკადემიაში იასამნისფერი დღე გვაქვს, რომელიც არის ერთგვარი სიმბოლო ჩაგვრის წინააღმდეგ. ამ დღეს მოსწავლეებს შეუძლიათ იასამნისფერი ტანსაცმლით/აქსესუარით მოვიდნენ სკოლაში.

ბროდვეის თეატრის საბავშვო მიუზიკლი



მოსარულეები ვართ გაცნობით, რომ ბრიტანულ-ქართულმა აკადემიამ ბროდვეის შოუს დადგმის ლიცენზია წელსაც მოიპოვა. 2019 წლის 15-16 ივნისს გველის ჯადოსნული მოგზაურობა ალისას საოცრებათა ქვეყანაში. მიუზიკლში მონაწილეობას მიიღებენ V-XII კლასების მოსწავლეები, რომლებსაც შემოქმედებითი ჯგუფი შეარჩევს.



www.bga.ge



BritishGeorginAcademy

V-XII კლასების ასამბლეა



პარასკევის ყოველკვირეულ ასამბლეაზე, რომელზეც მოსწავლეები აკადემიურ დირექტორთან ერთად სკოლაში მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე საუბრობენ, მადლობის სერთიფიკატები გადაეცათ მათ, ვინც წვლილი შეიტანა VI-XII კლასების დაჯილდოების ღონისძიების ორგანიზებასა და განხორციელებაში.

საქველმოქმედო აქცია - თბილი ტანსაცმელი ბავშვებს

ტრადიციულად, აკადემია წელსაც მონაწილეობს COATS-ის აქციაში, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები და მათი მშობლები თბილ ტანსაცმელს აგროვებენ მზრუნველობა მოკლებული ბავშვებისათვის. 14 ნოემბრის ჩათვლით თქვენ შეგიძლიათ აკადემიაში მოიტანოთ თბილი ტანსაცმელი 6-18 წლამდე ბავშვებისათვის და დატოვოთ ჰოლში განთავსებულ COATS-ის ყუთში. ჩვენი მოხალისე მოსწავლეების მიერ დახარისხებული ტანსაცმელი გადაეცემათ ბავშვებს



ჰელოუინის წვეულება

25 ოქტომბერს აკადემიაში ჰელოუინისადმი მიძღვნილი ძალიან სახალისო დღე გვექონდა. სკოლამდელი განათლების ცენტრის პატარები და I-VII კლასების მოსწავლეები წიგნებისა და ფილმების პერსონაჟების, მსოფლიოში ყველაზე საშიში და ყველაზე სახალისო გმირების კოსტიუმებში გამოწყობილები გვესტუმრნენ.



ჰუს გუნდების კაპიტნებმა აკადემიის სხვა მოსწავლეების დახმარებით დაუვიწყარი საღამო დაგვემეს VII-XII კლასების მოსწავლეებისათვის. წვეულებაზე მოსწავლეებთან ერთად მასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც ჩაერთნენ სახალისო აქტივობებში. საღამოს დასასრულს გამოვლინდნენ ის მოსწავლეები, მასწავლებლები და ადმინისტრაციის თანამშრომლები, რომლებსაც საუკეთესო კოსტიუმები ეცვათ.

